

აკაკი

ჩხენკელი

AKAKI

TCHKHENKELI

1874-1959



აკაკი ჩხენკელი
AKAKI TCHKHENKELI

1874-1959

თბილისი/Tbilisi
2022

udc(უაკ)32(479.22)(092)

ქ-238

ავტორები: **სალომე ჭანტურიძე, ანტონ ვაჭარაძე**
Authors of the Album: **Salome Tchanturidze, Anton Vatcharadze**

წინასიტყვაობის ავტორები: **დოდო ჭუმბურიძე, გოჩა ჯავახიშვილი, გიორგი კლდიაშვილი**
Foreword Authors: **Dodo Tchumburidze, Gotcha Javakhishvili, Giorgi Kldiashvili**

რედაქტორები: **ლევან ავალიშვილი, გიორგი კლდიაშვილი, ეკა კალანდაძე**
Editors: **Levan Avalishvili, Giorgi Kldiashvili, Eka Kalandadze**

მთარგმნელები: **ლუკა ჩიტიანი, სანდრო როჩიკაშვილი**
Translators: **Luka Chitiani, Sandro Rochikashvili**

ტექსტის რედაქტორი: **ესმა მანია**
Editor of Georgian Text: **Esma Mania**

ინგლისური ტექსტის რედაქტორი: **ქემერონ ფრეზერი**
Editor of English Text: **Cameron Fraser**

დიზაინერი: **ლაშა მაჭარაშვილი**
Designer: **Lasha Matcharashvili**

ISBN 978-9941-9803-2-9



შვედეთი
Sverige

მემორიალური ალბომი მომზადებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს ფინანსური მხარდაჭერით. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრებათ ავტორებს. Sida შესაძლოა, არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

Creation of the Memorial Album was possible with the generous support of the Swedish International Development Cooperation Agency, Sida. Responsibility for the content rests entirely with the creator. Sida does not necessarily share the expressed views and interpretations.

შინაარსი

მადლობა	4
დოდო ჭუმბურიძე - აკაკი ჩხენკელი	6
გოჩა ჯავახიშვილი - აკაკი ჩხენკელი	10
ოჯახი - განათლება	14
პოლიტიკური კარიერა საქართველოს პირველ რესპუბლიკამდე	25
კატო მიქელაძე და ქალთა უფლებები პირველ რესპუბლიკაში	51
უნივერსიტეტი	57
1918 წლის 26 მაისი	65
დამფუძნებელი კრების დეპუტატობისას	81
საგარეო ურთიერთობებში პირველი რესპუბლიკის დროს	94
ემიგრაციაში	143
და ბოლოს... ..	177

CONTENT

Acknowledgements	5
Dodo Tchumburidze - Akaki Tchkhenskeli	8
Gotcha Javakhishvili - Akaki Tchkhenskeli	12
Family - Education	14
Political career before the First Republic of Georgia	25
Kato Mikeladze and women's rights in the First Republic	51
Georgian university	57
May 26, 1918	65
During the Constituent Assembly's deputation	81
Foreign relations during the First Republic	94
In Emigration	143
And Finally... ..	177

მადლობა!

გვსურს, მადლობა გადავუხადოთ:

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მემორიალური ალბომის გამოცემაში მხარდაჭერისთვის.

საქართველოს ეროვნულ არქივსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივს დოკუმენტებისა და ფოტოების მოწოდებისთვის.

ქალბატონ სალომე ჭანტურიძეს ალბომის ავტორობისთვის.

ალბატონ დოდო ჭუმბურიძესა და ბატონ გოჩა ჯავახიშვილს წინასიტყვაობის ავტორობისთვის.

აკაკი ჩხენკელის შთამომავალს, ქალბატონ თამარ ჩხენკელს სასარგებლო რჩევებისთვის.

ქალბატონ ესმა მანიას ტექსტების გამართვისა და სრულყოფისათვის.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის თანამშრომლებს, მემორიალური ალბომის მომზადებისთვის.

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მკვლევრებსა და ისტორიით დაინტერესებულ ყველა პირს.

გიორგი კლდიაშვილი,

აღმასრულებელი დირექტორი

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

2022 წელი

Acknowledgements!

We would like to express gratitude toward:

The National Parliamentary Library of Georgia and the Tbilisi State University for the publication of the Memorial Album.

The National Archives of Georgia and the Archives of the Ministry of Internal Affairs of Georgia for the provision of archival documents and photos.

Ms. Salome Tchanturidze, for authorship of the memorial album.

Ms. Dodo Tchumburidze and Mr. Gotcha Javakhishvili, for the authorship of the foreword.

Descendant of Akaki Tchkhenskeli, Ms. Tamara Tchkhenskeli for helpful advices.

Ms. Esma Mania, for perfecting Georgian texts.

To the employees of the Institute for the Development of Freedom of Information, for the preparation of the memorial album.

Researchers of the First Democratic Republic of Georgia and all those interested in history.

Giorgi Kldiashvili

Executive Director

Institute for Development of Freedom of Information (IDFI)

2022

დოქო ყუბაურიძე

აკაკი ჩხენკელი

მარქსიზმისა და სოციალიზმის თეორიის ერთ-ერთი მიმდევარი აკაკი ჩხენკელი, თავისი თანამოაზრეებისაგან თავიდანვე ერთი რამით გამოირჩეოდა: ეროვნულ საკითხში ჰქონდა სულ სხვა მიდგომა. ის ქართველი ხალხის ჭეშმარიტი გულშემატკივარი, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, გულანთებული მამულიშვილი იყო. მისი ეს გამორჩეულობა ჯერ კიდევ 1900-იან წლებში დაინახა არჩილ ჯორჯაძემ. 1908 წელს ჟენევაში, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) V კონფერენციაზე, პირველად მან წამოაყენა რუსეთის იმპერიაში საქართველოს ეროვნული ავტონომიის საკითხი. საქართველოს ეროვნულ-კულტურული ავტონომიის მოთხოვნით, ჩხენკელი სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდანაც გამოვიდა.

როგორც დეპუტატი, აკაკი ჩხენკელი სათათბიროში პოლიტიკურად აქტიურობდა. ის გახდა ადვოკატი სახელმწიფოს ღალატში უსამართლოდ დადანაშაულებული აჭარლების, ბევრი მათგანი გადაარჩინა სიკვდილით დასჯას, როგორც უმაღლესი ორგანოს დეპუტატი, ეხმარებოდა მათ ოჯახებს, ასევე, პირველი მსოფლიო ომის დროს აჭარიდან ლტოლვილ მოსახლეობას.

დუმაში გამოსვლებმა აკაკი ჩხენკელს დიდი პოპულარობა მოუტანა. ის თავდადებულად იცავდა დაჩაგრული ერების, მათ შორის ქართველთა ინტერესებს. ეს მისი სიტყვებია ერთ-ერთი გამოსვლიდან: „მე თავად მივეკუთვნები ერთ-ერთ დაჩაგრულ ერს, კერძოდ ქართველი ვარ და ასე ვთქვათ, საკუთარ ტყავზე ვცდი ნაციონალური ჩაგვრის მთელ არაადამიანურობას. რუსეთთან შეერთების შემდეგ, ასზე მეტი წლის განმავლობაში ქართველი ერი იყო ობიექტი სიტყვით გამოუთქმელი დევნისა და დამცირებისა. თქვენ ყურადღებას აღარ შევაჩერებ ენის არანორმალური დევნის ამოჩემებულ მეთოდზე. მთავრობის თვალში კავკასია სახელმწიფოს თანასწორი ნაწილი კი არ არის, არამედ კოლონია, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის სულსა და ხორცზე უკანონოდ ახორციელებენ დაბალი დონის ექსპერიმენტებს.“

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მან დიდი თანამდებობები დაიკავა ჯერ „ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტში“, შემდეგ ამიერკავკასიის სეიმში. იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თუმცა საბჭოს მუშაობის ძირითადი ტვირთი მის მხრებზე გადადიოდა.

სწორედ ამ პერიოდში მიმდინარეობდა ბრძოლა საქართველოს ეროვნული ცხოვრებისათვის გადამწყვეტი ორი ისტორიული მოვლენის განსახორციელებლად: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად და თბილისის უნივერსიტეტის დასაარსებლად, რაშიც ქართულ საზოგადოებასა და ამ პრობლემების გადაწყვეტისათვის მებრძოლ ადამიანებს დიდი დახმარება გაუწია სწორედ აკაკი ჩხენკელმა.

მისმა გამორჩეულმა დიპლომატიურმა ნიჭმა და სახელმწიფოებრივმა აზროვნებამ განსაკუთრებული როლი ითამაშა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საქმეში.

მაშინ, როდესაც სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები ყოყმანობდნენ და ეძნელებოდათ საქართველოს საბოლოოდ გამოყოფა რუსეთისგან, რუსეთის შიშით აყოვნებდნენ დამოუკიდებლობის გამოცხადებას, ამგვარ პოზიციას პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა აკაკი ჩხენკელი. ის იდგა ეროვნულ-დემოკრატი მოღვაწეების - ნიკო ნიკოლაძის, ზურაბ ავალიშვილის, სპირიდონ კედიას, გიორგი მაჩაბლისა და სხვათა გვერდით და დაჟინებით ითხოვდა დამოუკიდებლობის აქტის განხორციელებას. „თავისუფლება ციდან ჩამოვარდნილი მანანა არ

არის, - აცხადებდა იგი, - ის თვითონ უნდა გამოგლიჯო მტერს ხელიდან, ამისთვის უნდა ემზადო, განიმსჭვალო ურყევი ნებით... ერი, რომელიც თავისუფლებისათვის არ იბრძვის, არცაა ღირსი ამ სახელის ტარების...”

დამოუკიდებლობის პერიოდში მან ბევრი იღვანა საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ცნობისათვის, ერთა ლიგაში მის გასაწევრიანებლად. ის ყოველთვის ცდილობდა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის გარშემო გაერთიანებულიყო მთელი მაშინდელი პოლიტიკური სპექტრი, დაევიწყებინათ პარტიული, წოდებრივ-კლასობრივი და პირადი ინტერესები და ყველას ერთად განემტკიცებინა ქვეყნის დამოუკიდებლობის საფუძვლები. ევროპაში დიპლომატიურ სამუშაოზე მივლენილ ქართველ დიპლომატებს მუდმივად ახსენებდა, რომ ისინი მთელი ერის დესპანები იყვნენ და არა რომელიმე პარტიისა, თუნდაც ეს მმართველი სოციალ-დემოკრატების პარტია ყოფილიყო. ის მზად იყო ყველაფერი გაეკეთებინა, ოღონდ დასახული მიზნის მიღწევა არ შეფერხებულყო.

აკაკი ჩხენკელი იყო დამფუძნებელი კრების წევრი, მუდამ ამაყობდა ამ სახელმწიფო ინსტიტუტით, გამოხატავდა სიამაყეს იმით, რომ პოსტიმპერიული ქვეყნებიდან პირველი პარლამენტი სწორედ საქართველომ მოიწვია და ეს გაკეთდა სამართლიანად ჩატარებული არჩევნების შედეგად.

ევროპასთან კავშირი აკაკი ჩხენკელისთვის საქართველოს მშვიდობიანი მომავლის საწინდარი იყო. ამიტომ აღიზიანებდა პარტიის ხელმძღვანელ რგოლსა თუ დიპლომატიურ სარბიელზე მოღვაწე ის თანაპარტიელები, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ შელეოდნენ რუსეთის „განუყოფლობის“ იდეას, საქართველოს კვლავ ერთიან რუსეთში მოიაზრებდნენ და ამ გზით ხედავდნენ ევროპასთან დაკავშირების შესაძლებლობასაც. ჩხენკელის აზრით, ეს მცდარი გზა იყო, ყოყმანი ამ არჩევანში ქვეყნისთვის დამღუპველად მიაჩნდა.

აკაკი ჩხენკელი ქართველ ერს მუდამ ბრძოლისა და რისკის განწევსკენ მოუწოდებდა, მისი აზრით, „ურისკოთ არაფერი არ კეთდება. სახელმწიფო ვის დაუარსებია ურისკოთ. მაშ საჭიროა გამბედაობა, გამბედაობა და კიდევ გამბედაობა“. როდესაც მის მრავალრიცხოვან მიმოწერას ეცნობი, ხვდები, რომ ამ ადამიანს ერთბაშად ჰქონდა მინიჭებული გამაერთიანებლის მისია, ყველა დაპირისპირებულ ჯგუფსა თუ ცალკეულ ადამიანთა შორის შემრიგებლის როლს თამაშობდა, მისი ყველას სჯეროდა და მის სიტყვას ყველასთვის გამორჩეული ფასი ჰქონდა. ამიტომ იქცა აკაკი ჩხენკელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ სახედ, ეროვნული სახელმწიფოს არქიტექტორად, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის ერთგულების სიმბოლოდ.

დოდო ჭუმბურიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

DODO TCHUMBURIDZE

AKAKI TCHKHENKELI

Akaki Tchkhenskeli, one of the first followers of the Marxism and socialism theories, was distinguished from his peers by one thing from the beginning: he had a completely different approach to the national issue. He was a true fan of the Georgian people, a state-orientated, warm-hearted patriot. Archil Jorjadze saw this distinction in the 1900s. In 1908, at the 5th conference of the Russian Social Democratic Labour Party (RSDLP) in Geneva, he raised the issue of the national autonomy of Georgia in the Russian Empire for the first time. Tchkhenskeli gave a speech from the tribune of the State Council with the request for the national-cultural autonomy of Georgia.

As a deputy, Akaki Tchkhenskeli was politically active in the Duma. He became a lawyer for the Adjarians who were unjustly accused of treason, saving many of them from the death penalty. As a deputy of the higher body, he helped their families, as well as the refugee population from Adjara during the First World War.

Speeches in the Duma brought Akaki Tchkhenskeli great fame. He devotedly defended the interests of oppressed nations, including Georgia. These are his words from one of his speeches: "I myself belong to one of the oppressed nations, in particular, I am Georgian and, so to speak, I experience the inhumanity of national oppression on my own skin. After the union with Russia, for more than a hundred years, the Georgian nation was the object of unspeakable persecution and humiliation. I will no longer draw your attention to the chosen method of abnormal persecution of the Georgian language. In the eyes of the government, the Caucasus is not an equal part of the state, but a colony where low-level experiments are illegally carried out on the soul and flesh of the local population."

After the February revolution of 1917, he held important positions first in the Transcaucasian Special Committee, then in the Transcaucasian Seim. He was the deputy chairman of the National Council of Georgia, however, the main burden of the work of the Council was transferred to his shoulders.

It was during this period that the struggle for the realization of two historical events decisive for the national life of Georgia became apparent: the restoration of the autocephaly of the Georgian Church and the establishment of Tbilisi University, in which Akaki Tchkhenskeli provided a great help to the Georgian society and the people fighting for the solution to these problems.

His distinguished diplomatic talent and statesmanship played a special role in the declaration of Georgia's independence.

When the leaders of the Social-Democratic Party hesitated and found it difficult to finally separate Georgia from Russia, they delayed the declaration of independence due to fear of Russia, Akaki Tchkhenskeli opposed such a position in principle. He stood next to national-democratic figures - Niko Nikoladze, Zurab Avalishvili, Spiridon Kedia, Giorgi Matchabelli and others and insisted on the implementation of the independence act. "Freedom is not manna that fell from the sky," he declared, "it must be snatched from the hands of the enemy, it must be prepared for it, with unwavering unwavering will... A nation that does not fight for freedom is not worthy of this name..."

During the period of independence, Akaki Tchkhenskeli achieved a lot in the international arena for the recognition of Georgia, for its membership in the League of Nations. He always tried to unite the entire political spectrum around the idea of Georgia's independence, to forget about party, rank-class and

personal interests and to strengthen the foundations of the country's independence together. He constantly reminded the Georgian envoys assigned to diplomatic work in Europe that they were the ambassadors of the whole nation and not of any party, even if it was the Social-Democratic Party that was in rule. He was ready to do everything, but not to hinder the achievement of the set goal.

Akaki Tchkhenskeli was a member of the constituent assembly, he was always proud of this state institution, he expressed his pride in the fact that Georgia convened the first parliament from the post-imperial countries and it was done as a result of fairly conducted elections.

For Akaki Tchkhenskeli, the union with Europe was the harbinger of a peaceful future for Georgia. That's why he was annoyed by those fellow party members working in the leadership circle of the party or on the diplomatic circuit, who still could not get over the idea of "separation" from Russia. They still considered Georgia to be united with Russia and saw the possibility of connecting with Europe only in the opposite way. Tchkhenskeli considered hesitation in this choice to be disastrous for the country.

Akaki Tchkhenskeli always called the Georgian nation to fight and take risks, in his opinion, "nothing is done without risk. No state was founded without it. So you need courage, courage and more courage." When you get acquainted with his productive correspondence, you realize that this man was at once given the mission of a unifier, he played the role of a conciliator between all opposing groups and individuals, he was believed by all, and his word had a special value for all. That is why Akaki Tchkhenskeli became one of the main political faces of the Democratic Republic of Georgia, the architect of the national state, a symbol of loyalty to the idea of Georgia's independence.

Dodo Tchumburidze

Ph.D., Associate Professor

გორა ჯავახიშვილი

აკაკი ჩხენკელი

ლევლის მამულში, შატოს დიდ დარბაზში შესასვლელი კარიდან მარცხენა კედელზე ნახავთ ფოტოს, რომელიც 1921 წლის 25 თებერვლის მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ მოვლენას ასახავს. საქართველოს ლეგაციის ხელმძღვანელი, საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი აკაკი ჩხენკელი, სახელმწიფო პროტოკოლის უფროსთან ერთად, პროტოკოლური რიტუალით საფრანგეთის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარისთვის ალექსანდრ მილერანისთვის (Alexandre Millerand) რწმუნებათა სიგელების გადასაცემად მიემართება. ფოტო ძლიერი სიმბოლური ემოციის მომგვრელია, რადგან ამავე დღეს, აკაკი ჩხენკელის სამშობლოში ბოლშევიკური არმია შემოიჭრა და რამდენიმე თვითანი ღირსეული წინააღმდეგობის მიუხედავად, ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია მოახერხა.

საფრანგეთმა საქართველო დე იურედ 1921 წლის 27 იანვარს აღიარა. მანამდეც და მას შემდეგაც, რაც აკაკი ჩხენკელი საფრანგეთში დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელად დაინიშნა, პარიზიდან ცდილობდა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღიარებისთვის საბჭოთა ოკუპაციის დაგმობისა და ბოლშევიკების საქართველოდან უკან გასვლის მიღწევას, რისთვისაც ძალისხმევას არ იშურებდა.

ჩემთვის, როგორც საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანისთვის, დიდი წინაპრის, წინამორბედის, აკაკი ჩხენკელის კვალზე სვლა და მისი საპატიო მემკვიდრეობა უდიდესი პასუხისმგებლობა იყო. იმის გააზრება, რა შრომა და ძალისხმევა დასჭირდათ მას და მის გუნდს, რომ საფრანგეთსა და ევროპაში მიეღწიათ იმისთვის, რომ საქართველოს გასაბჭოებიდან კიდევ 13 წელს, 1933 წლამდე, გაგრძელებულიყო საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობა, მეც ძალას მშატებდა და მეტი შემართებით განმანყობდა თითქმის იმავე გამოწვევებთან გასამკლავებლად.

1922 წელს საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის აღიარების აქტში საქართველო სსრკ-ის შემადგენლობაში არ მოიაზრებოდა და საფრანგეთის მთავრობა, საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს დელეგაციას, დამოუკიდებელი საქართველოს წარმომადგენლებს დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსით იწვევდნენ და თანამშრომლობდნენ მათთან. საფრანგეთმა მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა პოლიტიკურ ემიგრანტად. ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ საფრანგეთში პატარა საქართველო, თავისუფალი საქართველო, ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების იდეით, საბჭოთა ოკუპაციიდან, პოლიტიკური რეპრესიებიდან შორს, დემოკრატიული და ევროპული ღირებულებების დედაქალაქ პარიზის სიახლოვეს, კერძოდ, ლევილში დიდხანს აცოცხლა.

ჩემთვის დიდი პატივი იყო, მოკრძალებით შევხებოდი იმ დიპლომატიური მიმონერის ნიმუშებს, რომლებიც საფრანგეთის დიპლომატიურ არქივშია დაცული. მრავლადაა აკაკი ჩხენკელის მიმონერა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, რომელშიც იგი გმობს საბჭოთა ოკუპაციას და მადლობას უხდის საფრანგეთის ხელისუფლებას აქტიური მხარდაჭერისთვის. ბედნიერი ვარ, რომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად, საქართველოს პრეზიდენტის ერთ-ერთი ვიზიტის ფარგლებში, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავარ დარბაზში მოვანყვეთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დიპლომატიური კორესპონდენციის გამოფენა. მათ შორის იყო სსრკ-ის ელჩის საპროტესტო წერილი საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სახელზე, სადაც იგი აპროტესტებდა აკაკი ჩხენკელის კვლავ საქართველოს წარმომადგენლად მოხსენიებას, ნოე ჟორდანიას მთავრობის

საქართველოს ოფიციალურ წარმომადგენლებად აღიარებას მაშინ, როცა პოლიტიკური ვითარება უკვე შეცვლილი იყო.

მათ შორის იყო საფრანგეთის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის სახელზე აკაკი ჩხენკელის წერილიც, რომლითაც იგი რეკომენდაციას უწევდა ახალგაზრდა დიმიტრი ამილახვარს სენ-სირის სამხედრო სკოლაში ჩასარიცხად. დიმიტრი ამილახვარი მომავალში საფრანგეთის თავდადებული გმირი გახდა და დღეს საფრანგეთ-საქართველოს დიპლომატიური, პოლიტიკური და თავდაცვის სფეროებში თანამშრომლობა – სტრატეგიული დიალოგი მის სახელს ატარებს. 2021 წელს კი საქართველოს პრეზიდენტმა დიმიტრი ამილახვარს საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა.

ძალიან ვამაყობდი ასევე 90-იან წლებში, პარიზის საერთაშორისო დიპლომატიურ აკადემიაში სწავლის დროს, როცა 1927 წელს აღნიშნული დიპლომატიური აკადემიის დამაარსებელთა შორის აღმოვაჩინე ევგენი გეგეჭკორისა და აკაკი ჩხენკელის ხელმოწერები, მათი ხელმოწერებით დამოუკიდებელი საქართველო ამ სასწავლებლის დამაარსებელ ქვეყანათა შორის იყო მოხსენიებული.

აკაკი ჩხენკელი იმ ქართველ პოლიტიკოსთა შორისაა, რომელთა მემკვიდრეობას უკეთ უნდა იცნობდეს საქართველო.

გოჩა ჭავჭავაძე

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი საფრანგეთის რესპუბლიკაში

GOTCHA JAVAKHISHVILI

AKAKI TCHKHENKELI

On the wall to the left of the entrance door in the great hall of the Chateau in the Leuville estate, you will see a photograph depicting an important state event dated February 25, 1921. The Head of the Georgian Legation, Ambassador Extraordinary and Plenipotentiary, Akaki Tchkhenkeli, together with the Chief of State Protocol, goes to present the credentials to the Chairman of the French National Council, Alexandre Millerand, in a protocol ritual. The photo evokes a strong symbolic emotion because, on the same day, the Bolshevik army invaded our homeland and managed to occupy our country despite several months of brave resistance.

France recognized Georgia de jure on January 27, 1921. Even before Akaki Tchkhenkeli was appointed as the head of the diplomatic mission in France, he tried from Paris to recognize Georgia as an independent state, condemn the Soviet occupation, and achieve the withdrawal of the Bolsheviks from Georgia, for which he spared no effort.

For me, as an extraordinary and plenipotentiary ambassador of Georgia, following in the footsteps of my great ancestor, Akaki Tchkhenkeli and his honorable legacy is a great responsibility. Understanding the hard work and effort it took him and his team in France and Europe to achieve the continuity of the existence of the independent Republic of Georgia until 1933, 13 years after the Sovietization of Georgia, gave me strength and prepared me with more self-belief to deal with similar challenges.

In 1922, in the act of recognition of the Soviet Union by France, Georgia was not included in the USSR. The French government and the Ministry of Foreign Affairs invited the delegation of Georgia and representatives of independent Georgia under the status of an independent state and cooperated. France accepted the government of the Democratic Republic of Georgia in political exile. Georgian political emigration to France, Little Georgia, and Free Georgia, kept alive the idea of national independence and freedom, far from Soviet occupation, and political repression, in the vicinity of Paris, the capital of democratic and European values, namely in Leuville.

It was a great honor for me to humbly touch the samples of diplomatic correspondence that are preserved in the French diplomatic archives. There are many correspondences of Akaki Tchkhenkeli with the French Ministry of Foreign Affairs, where he condemns the Soviet occupation and thanks the French authorities for their active support. I am happy that together with the Ministry of Foreign Affairs of France, within the framework of one of the visits of the President of Georgia, we organized an exhibition of the diplomatic correspondence of the Government of the Democratic Republic of Georgia in the main hall of the Ministry of Foreign Affairs of France. Among them was the protest letter from the ambassador of the USSR addressed to the Minister of Foreign Affairs of France, where he objected to both mentioning Akaki Tchkhenkeli again as the representative of Georgia and to recognizing the government of Noe Zhordania as the official representative of Georgia.

Among the preserved correspondence was Akaki Tchkhenkeli's letter addressed to the chairman of the French National Council, in which he recommended young Dimitri Amilakhvari enroll in the Saint-Cyr military academy. Dimitri Amilakhvari would go on to become a devoted hero of France. Subsequently, the modern-day French-Georgian diplomatic, political, and defense cooperation - strategic dialogue bears his name. In 2021, the President of Georgia awarded the posthumous title of National Hero of Georgia to Dimitri Amilakhvari.

I was also very proud in the 90s while studying at the international diplomatic academy in Paris. Founded in 1927, I discovered that among the initiators of the diplomatic academy were the signatures of Evgeni Gegechkori and Akaki Tchkhenskeli. It can therefore be said that Independent Georgia was among the founding countries of the school.

Akaki Tchkhenskeli is among the Georgian politicians whose legacy should be more well-known to Georgians.

Gotcha Javakhishvili

Ambassador Extraordinary and Plenipotentiary of Georgia to the Republic of France



ოჯახი - განათლება
FAMILY - EDUCATION

აკაკი ჩხენკელი 1874 წლის 19 მაისს (ძვ. სტილით) სოხუმის ოლქის სოფელ ოქუმში დაიბადა. აკაკის მამა – ივანე ჩხენკელი იყო სასულიერო პირი, რომელიც სამურზაყანოში მოღვაწეობდა. ბაბუა – პეტრე ჩხენკელიც მღვდელი იყო. დედა – ირინე გიორგაძე ქუთაისელი მღვდლის შვილი იყო. ჩხენკელების მრავალრიცხოვანი ოჯახის შესახებ ინფორმაცია მწირადაა შემორჩენილი. მამამისი ივანე მღვდელი იყო, უაღრესად კულტურული და განათლებული ქართველი პატრიოტი. ის აფხაზეთში იქნა გამწესებული... ივანეს საკმაოდ მრავალრიცხოვანი და სახელოვანი შვილები ჰყავდა: უფროსი მიხაკო იყო ექიმი, აკაკი – იურისტი და ჟურნალისტი, ლუკა – ბეითალი, კიტა – პროფესორი... ქალიშვილებიდან ერთი ჰყავდა კულაშელ კანდელაკს, მეორე – აბაშელ ჭანტურიას (ვ. ჩუბინიძე, *ეხის ცხოვრების კვადის დამჩნევი აკაკი ჩხენკელი „გუშაგი“*, პაჩიზი, 1984, №1, გვ. 60).

Akaki Tchkhenskeli was born on May 19, 1874 in the village of Okumi, Sokhumi District. Akaki's father - Ivane Tchkhenskeli - was a clergyman in Samurzakano. His grandfather - Petre Tchkhenskeli - was also a priest. Mother - Irine Giorgadze - was the daughter of a priest from Kutaisi. Little information remains regarding large Tchkhenskeli family. His father Ivane was a priest, a very cultured and educated Georgia patriot. He was directed to Abkhazia... Ivan had quite numerous and famous children: the eldest Mikhako was a doctor, Akaki - a lawyer and journalist, Luka - a veterinarian, Kita - a professor... Among his daughters, one was married to a Kandelaki in Kulashi, while the other was married to a Chanturia in Abasha. (V. Chubinidze, *Footprint on the Life of Akaki Tchkhenskeli, „Gushagi“*, Paris, 1984, No. 1, p. 60).



აკაკი ჩხენკელის მშობლები: დეკანოზი ივანე ჩხენკელი და ირინე გიორგაძე

Parents of Akaki Tchkhenskeli: Deacon Ivane Tchkhenskeli and Irine Giorgadze

ინახება ია თიკანაძის საოჯახო არქივში
Kept in Ia Tikanadze's family archive

„მამაჩემი ჩამდენი ნაღვაწი და ნაშრომია ის. ნახევარი სიცოცხლე აბხაზეთს-სამუხრანს შესწია, მღვდელს მაშინ ბევრი ხამის გაკეთება შეეძლო, მამაჩემი ხომ მთელი სამუხრანს მღვდლების სათავეში იყო, ხაც მან პიხვედ-დაწყებითი სკოლები გახსნა, ხიცხვი ახც კი ვიცი, ბევრი იყო, მაჩგო ქვიგვიჩის საყდრები ოცამდე ააშენა! და ამას იმიტომ ვამბობ, რომ ყოველ საყდრის გვერდში სკოლაც იხსნებოდა. ეპისკოპოსმა გაბიემა¹ გადაიხილა მამაჩემი სამუხრანში და აქედან სჩანს, რომ ის გონიერი ადამიანი ყოფიდა: აბა ასეთ მშრომელს და მუყაითს სად იშოვიდა! მაგამ მამაჩემმა ვეი დაიმსახურა ხუსის საეპარქიო მთავრობის წყადობა, მას სდევნიდნენ, ხოგოხც ქაჩთვედ მოღვაწეს, ხოგოხც უმწიკრო ადამიანს. მან ბევრი უსიამოვნება ნახა ჩემს გამო: ხევოღუციონიერი შვიდი გაზაჩქაო! ასე რომ ამდენი შიშმა გყუიდა დაეკაჩგა სამსახურის მხით. მხოლოდ კათალიკოსმა კიხიონმა² გაიხსენა მისი ღვაწი და დიდი ხნის სამსახურიდან გამოსული დეკანოზად აკუთხა. ახც კი ვიცი ხოგოხ მოხდა ეს. მამაჩემი ჩვეულებრივი მღვდელი ახ იყო, მას ქონდა განათება და ცხოვრობდა, ხოგოხ ინტელიგენტი სოფელში“. აკაკი ჩხენკელის მოგონება მამის შესახებ, 1920 წლის 30 მაისი (აკაკი ჩხენკელის დღიურები, წ. 1, 2021, გვ. 218.).

აკაკის მამის – ივანე ჩხენკელის წერილი „სამუხრანს ვითარება“ ჟურნალში „კვალი“ აღ. ენგურელის ფსევდონიმით გამოქვეყნდა. ამ წერილში ვკითხულობთ: „სამუხრანს სკოლებიდან განდევნილია, უახყოფილია ენა, მაშინ ხოდესაც ამ ენაზე უნდა იყოს მიქცეული უმთავრესი ყუჩადლება საზოგადოთ სამხევლო და სასოფლო სკოლებში და მით უფრო სამეგერო-სამუხრანში, წინააღმდეგ შემთხვევაში აჩავითაჩ ნყოფს აჩ მოგვიგანს სამხევლო სკოლებში“ (გაზეთი „კვალი“, 16 ივლისი, 1895).

ივანე ჩხენკელს დეკანოზის წოდება კათალიკოსმა კიხიონმა უბოძა, რასაც სიხარულით აღნიშნავს აკაკისადმი გაგზავნილ წერილში: „მიხაჩია და მოგიდოცავ, რომ უკანასკნელად შენი მამა, შენი შემწეობით, აკუთხა დეკანოზათ მისმა უწმინდესობამ კათალიკოს პაგჩიაჩქმა კიხიონმა... უფრო ის მიხაჩია, რომ მომესწო ასეთი დხო. დღეს საქაჩთვედოს კათალიკოს პაგჩიაჩქი ჰყავს. ჩვენი უწმინდესობის ხედიდან ვლებუდობ ამ ღიხებას“ (სცსსა, ფონდი 1831, აღწერა 2, ფურ.2).

ივანე ჩხენკელის საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ნამსახურების ნუსხის დოკუმენტის მიხედვით ვიგებთ, რომ მასსა და ირინა გიორგაძეს ჰყავდათ 7 შვილი: მიხეილი, აკაკი, ლუკა, ნეონილა, ანა, მარია და პეტრე – კიტა.

„My father, he has done so much work. He sacrificed half his life to Abkhazia-Samurzakano, a priest could do a lot of things then, my father was at the head of the clergy of the whole Samurzakano, he opened so many first-primary schools, I don't even know the number, there were many, he built up to twenty stone churches alone! And I say this because a school was also opened next to each church. Bishop Gabriel transferred my father to Samurzakano, and from this it seems that he was a wise man: where else would he have gotten such a hard worker! But my father could not earn the recognition of the diocesan government of Rus, he was persecuted as a Georgian figure, as a blameless person. He met a lot of trouble because of me: they said that he raised a revolutionary son! And so, this much work was wasted in his service. Only the Catholicos Kyrion² recalled his merits and blessed him as a deacon from his long retirement. I do not even know how this happened. My father was not an ordinary priest, he had an education and lived like a member of the intelligentsia in the village.“ Akaki Tchkhenskeli's recollections about his father, 30 May 1920 (Akaki Tchkhenskeli's Diaries, vol. 1, 2021, p. 218).

Akaki's father - Ivane Tchkhenskeli's letter „Situation in Samurzakano“ was published in the magazine „Kvali“ under the pseudonym of Al. Engureli. The letter reads: „The Georgian language has been expelled and rejected from the schools of Samurzakano, while the main attention should be paid to this language in public parish and rural schools, and even more so in Samegrelo-Samurzakano, otherwise it will not bear any fruit in the parish schools“ (Kvali magazine, July 16, 1895).

Ivane Tchkhenskeli was granted the title of deacon by Catholicos Kyrion, which he happily notes in his letter to Akaki: „I am overjoyed and congratulate you that your father, with your support, was blessed with deaconship by His Holiness the Catholicos-Patriarch Kyrion... More so, I am glad to have witnessed such a time. Today, Georgia has a Catholicos-Patriarch. I receive this honor from the hands of His Holiness“ (National Archive of Georgia, Central Historical Archive, fund №1831, Inventory №2, page.2).


According to Ivane Tchkhenskeli's service list preserved in the National Archive of Georgia, we learn that he and Irina Giorgadze had 7 children: Mikheili, Akaki, Luka, Neonila, Anna, Maria, and Petre - Kita.

¹გერასიმე (გაბრიელ) ქიქოძე (1825-1896) – სასულიერო პირი

²გიორგი (კირიონ) სადაგლიშვილი (1855-1918) – სასულიერო პირი, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი

¹Gerasime (Gabriel) Kikodze (1825-1896) – clergyman

²Giorgi (Kyrion) Sadzaglishvili (1855-1918) – clergyman, Catholicos-Patriarch of Georgia




ივანე ჩხენკელის ოჯახის შემადგენლობა

Ivane Tchkhenskeli's family

დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში
 Preserved in the Georgian National Archive

გაბრიელ ეპისკოპოსის შუამდგომლობით, ივანე ჩხენკელის შვილებმა კარგი განათლება მიიღეს: უფროსი ვაჟი მიხეილი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობდა, ქალიშვილი ნეონილა – სოხუმის ქალთა პროგიმნაზიაში, შემდეგ ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში, მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების ხარჯზე; აკაკი ჯერ სამეგრელოს სასწავლებელში შეიყვანეს, საიდანაც გადმოვიდა ხონში, შემდეგ ქუთაისში, ბოლოს კი თბილისის სასულიერო სემინარიაში. ლუკამ, რომელიც ბეითალი გახდა, სოხუმის მთიელთა სკოლაში დაიწყო სწავლა, შემდეგ კი ქუთაისში გააგრძელა. ივანეს ჰყავდა კიდევ ვაჟი – პეტრე (იგივე კიტა). ივანეს ქალიშვილები იყვნენ 1879 წელს დაბადებული ანა და 1883 წელს დაბადებული მარიამი (დ. ქუმბურძე, აკაკი ჩხენკელი, სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მამულიშვილი, 2018, გვ. 61).

Through the mediation of Bishop Gabriel, the children of Ivane Tchkhenskeli received a good education: the eldest son Mikheil studied at the classical gymnasium of Kutaisi, daughter Neonila - at the women's pregymnasium of Sokhumi, then at the women's gymnasium of Kutaisi, with the funding from the Society for the Restoration of Orthodoxy; Akaki was first admitted to the Samegrelo Academy, from which he transferred to Khoni, then to Kutaisi, and finally to the Tbilisi Theological Seminary. Luka, who became a veterinarian, began his studies in the Sokhumi Mountain School, then continued in Kutaisi. Ivane had another son – Petre (also known as Kita). Ivane's daughters were Ana, born in 1879, and Mariam, born in 1883 (D. Tchumburidze, Akaki Tchkhenskeli, Statesman, Diplomat, Patriot, 2018, p. 61).



დაცულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში
 Preserved at the Ivane Javakhishvili Tbilisi State University library

საქართველოს გასაბჭოებამ კიბა ჩხენკელს ევროპაში სწავლის დროს მოუსწრო. დაასრულა ჰალეს უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. 1936 წელს ჰამბურგის უნივერსიტეტში პოლიტეკონომიის დოქტორის ხარისხი მოიპოვა, ამავე უნივერსიტეტში ხელმძღვანელობდა ენის კურსებს, შეადგინა ქართულ-გერმანული ლექსიკონი და ენის სახელმძღვანელო, რომელიც 1943 წელს ჰამბურგის დაბომბვის დროს განადგურდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, შვეიცარიაში გააგრძელა ცხოვრება და მოღვაწეობა. ციურხის უნივერსიტეტში ქართველოლოგიური კათედრა და სტამბა „ამირანი“ დააარსა. შექმნა ფუნდამენტური ნაშრომი „ენის შესავალი.“ კიბა ჩხენკელის არქივი 2018 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადაეცა.

აკაკი ჩხენკელმა დაწყებითი განათლება ხონის სკოლაში მიიღო. 1891 წლიდან კი სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც ადრეული ასაკიდან ეცნობოდა სოციალ-დემოკრატთა იდეებსა და მრწამსს. თბილისის სემინარია იმდროინდელი საქართველოს რევოლუციური იდეების მთავარ კერას წარმოადგენდა, სტუდენტები ხშირად უპირისპირდებოდნენ ანტიქართულ პროპაგანდას. 1883 წელს ერთ-ერთი გაფიცვის გამო აკაკი ჩხენკელი სასწავლებლიდან გარიცხეს.

1896-1901 წლებში აკაკი ჯერ კიევში, შემდეგ მოსკოვსა და პეტერბურგში ჩაირიცხა იურიდიულ ფაკულტეტებზე, თუმცა სტუდენტურ მოძრაობებში აქტიურობის გამო სწავლა ვერ დაასრულა და საქართველოში დაბრუნდა. 1902-1904 წლებში ჩხენკელმა აფხაზეთში ადვოკატად დაიწყო მუშაობა. პარალელურად, ქართულ და რუსულ პრესასთან თანამშრომლობდა, პერიოდულ გამოცემებში რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკასა და მის შოვინისტურ ზრახვებს ამხელდა.

საქართველოში დაბრუნებულმა აკაკი ჩხენკელმა ცოლად მაკრინე სიმონის ასული თურქია შეირთო. 1905 წელს წყვილს ვაჟი, ალექსი³ შეეძინა, მალევე კი აკაკი ოჯახთან ერთად სასწავლებლად ევროპაში გაემგზავრა. მაკრინე თურქია თავის დასთან – მაშოსთან და აკაკის

Sovietization of Georgia took place when Kita Tchkhenkeli was studying in Europe. He graduated from Halle University, Faculty of Philosophy. In 1936, he obtained the degree of Doctor of Political Economy at the University of Hamburg, where he also directed Georgian language courses, compiled a Georgian-German dictionary and a Georgian language textbook, which were destroyed in the bombing of Hamburg in 1943. Following World War II, he moved to live and work in Switzerland. He founded the Department of Georgian Studies and the Georgian printing house „Amirani“ at the University of Zurich. He created the foundational work "Introduction to the Georgian Language." In 2018, Kita Tchkhenkeli's archive was transferred to Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

Akaki Chkhenkeli received his primary education at Khoni school. From 1891, he continued his studies at the Tbilisi Theological Seminary, where he was introduced to the ideas and beliefs of social democrats from an early age. Tbilisi Seminary was the main hub of revolutionary ideas in Georgia at that time, and the students often challenged anti-Georgian propaganda. In 1883, due to one of the strikes, Akaki Tchkhenkeli was expelled from the seminary.

In 1896-1901, Akaki enrolled in faculties of Law first in Kyiv, then in Moscow and St. Petersburg, but due to his participation in student movements, he could not finish his studies and instead returned to Georgia. In 1902-1904, Tchkhenkeli started working as a lawyer in Abkhazia. At the same time, he worked with the Georgian and Russian press, exposing Russia's imperialist policy and its chauvinistic intentions in periodicals.

Returning to Georgia, Akaki Tchkhenkeli married Makrine Turkia. In 1905, the couple had a son, Alexi³, and soon Akaki went to study in Europe with his family. Makrine Turkia, together with her sister, Masho, and Akaki's sister, Aneta, acted in the circle of stage lovers of Sokhumi. In 1900, the newspaper „Iveria“ published a letter about the circle of stage lovers in Sokhumi, highlighting Makrine Turkia's skills.

In 1904-1909, Akaki Tchkhenkeli lived in Berlin, Vienna, Paris, and London, where he studied the ideology of social democrats and actively participated in various congresses

³აკაკი ჩხენკელსა და მაკრინე (მაშო) თურქიას ჰყავდათ ერთადერთი შვილი – ალექსი, რომელიც 1905 წელს საქართველოში დაიბადა. საფრანგეთის უცხოური ლეგიონის ბატალიონის მეთაური, ოფიცერი, ვიცე-პოლკოვნიკი ალექსი ჩხენკელი არაერთ ბრძოლასა და ექსპედიციაში იღებდა მონაწილეობას. იგი პენსიაში გასვლის შემდეგ საცხოვრებლად გადავიდა აშშ-ში, სადაც აქტიურად დაიწყო ემიგრაციის დახმარება. 1959 წელს მან „ანტიკომუნისტური ინტერნაციონალი“ დააარსა. ალექსი ჩხენკელი 1985 წელს გარდაიცვალა და დაკრძალეს საფრანგეთში, ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

³Akaki Tchkhenkeli and Makrine (Masho) Turkia had an only child - Alexi, who was born in 1905 in Georgia. Commander of the battalion of the French Foreign Legion, officer, vice-colonel Alexi Chkhenkeli took part in many battles and expeditions. After retirement, he moved to live in the US, where he began actively assisting Georgian emigrants. In 1959, he founded the „Anti-Communist International“. Alexi Tchkhenkeli passed away in 1985 and was buried in France, in the Leuville Georgian cemetery.

დასთან – ანეტასთან ერთად სოხუმის სცენისმოყვარეთა წრეში მსახიობობდა. 1900 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა წერილი სოხუმის სცენისმოყვარეთა წრის შესახებ, სადაც მაკრინე თურქიას ოსტატობა იყო ხაზგასმული.

1904-1909 წლებში აკაკი ჩხენკელი ცხოვრობდა ბერლინში, ვენაში, პარიზსა და ლონდონში, სადაც ეცნობოდა სოციალ-დემოკრატთა იდეოლოგიას, აქტიურად მონაწილეობდა კონგრესებსა და კონფერენციებში.

1907 წელს აკაკი ჩხენკელმა გერმანიაში ლაიფციგის უნივერსიტეტი დაასრულა და სწავლა შვეიცარიაში – ჟენევის უნივერსიტეტში განაგრძო.

and conferences.

In 1907, Akaki Tchkhenkeli graduated from the University of Leipzig in Germany and continued his studies at the University of Geneva in Switzerland.



თბილისის სასულიერო სემინარია. სასულიერო სასწავლებელი 1817 წლის 1 ოქტომბერს დაარსდა და 1917 წლამდე იარსება.

Tbilisi Theological Seminary. The theological school was founded on October 1, 1817, and existed until 1917.



ლაიფციგის უნივერსიტეტის მთავარი შენობა (1917). 1968 წელს დაანგრევს.

უნივერსიტეტი დაარსდა 1409 წელს.

The main building of the University of Leipzig (1917). It was demolished in 1968.

The university was founded in 1409.

1909 წელს აკაკი საქართველოში დაბრუნდა. 1910 წელს დააპატიმრეს, ჯერ მეტეხის ციხეში ჩასვეს, შემდეგ კი გადაასახლეს როსტოვში, სადაც იმყოფებოდნენ ქართველი რევოლუციონერები: ნოე რამიშვილი, ნესტორ ჩხიკვაძე, ზაქარია გურული და სხვები.

In 1909, Akaki returned to Georgia. In 1910, he was arrested, first being imprisoned in the Metekhi prison, then exiled to Rostov, where Georgian revolutionaries, such as Noe Ramishvili, Nestor Chkhivadze, Zakaria Guruli, and others had been sent.



აკაკი ჩხენკელის დედის – ირინე გიორგაძის მშობლები, მამა – ბესარიონ გიორგაძე.

The parents of the mother – Irine Giorgadze – of Akaki Tchkhenskeli, Father – Besarion Giorgadze.

ინახება ია თიკანაძის საოჯახო არქივში
Kept in Ia Tikanadze's family archive



აკაკი და მისი უფროსი ძმა მიხაკო კიევში, 1894 წელი. მიხაკო იყო ექიმი, თბილისის მთავარი პედიატრი, 1937 წელს დააპატიმრეს და მას შემდეგ მისი კვალი გაქრა.

Akaki and his older brother Mikhako in Kiev, 1894. Mikhako was a doctor, chief pediatrician in Tbilisi, arrested in 1937, following which all traces of him disappeared.

ინახება ია თიკანაძის საოჯახო არქივში
Kept in Ia Tikanadze's family archive



აკაკი ჩხენკელის ძმა, ლუკა, ოჯახთან ერთად.

Akaki Tchkhenskeli's brother, Luka, with his family.

ინახება ია თიკანაძის საოჯახო არქივში
Kept in Ia Tikanadze's family archive

Handwritten Georgian text on a single sheet of paper, likely the reverse side of the document shown on the adjacent page. The script is cursive and dense, covering most of the page area.

Handwritten Georgian text on a single sheet of paper, likely the front side of the document. It begins with a header and contains several lines of text, ending with a signature and date.

აკაკი ჩხენკელის მამის, დეკანოზ ივანე ჩხენკელის წერილი შვილისადმი, რომლითაც აცყო-ბინებს კათალიკოს-პატრიარქ კირიონის მიერ მის დეკანოზად კურთხევას (1918 წელი).

შენც შემპიხდი და ექიმ. მითხებს განახვთო. შენი ნახვა აქამდიაც მენატრებოდა. შენ აქეთ ვინ მოგაცდევებს – ქვეყნის საქმე გაბაჩია.

The letter from Akaki Tchkhenskeli's father, deacon Ivane Tchkhenskeli, to his son, wherein he informs Akaki of Catholicos-Patriarch Kirion granting him the rank of deacon (1918).

You promised me and the doctors told me they'd see me as well. I missed seeing you all the time. But how would you find the time for us – you're taking care of the country's affairs.

დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში
Preserved at the Georgian National Archive

კომპოზიტორ მელიტონ ბალანჩივაძის გუნდი, 1899 წელი.

აკაკი ჩხენკელსაც, სხვათა მსგავსად, ქულაჯა აცვია. სავარაუდოდ, ისიც გუნდში მღეროდა.

Choir of composer Meliton Balanchivadze, 1899.

Akaki Chkhenkeli, like others, also wears a robe. He likely also sang in the choir.



ფოტო ჟურნალიდან -
„ისტორიანი“ (2018, №89)
Magazine „Istoriani“ (2018, №89)



ფოტო დაცულია საქართველოს
პარლამენტის ეროვნულ ბიბ-
ლიოთეკაში
Preserved at the National Library
of Georgia



აკაკი ჩხენკელი მეუღლესთან – მაკრინე თურქიასთან ერთად
(1950-იანი წლები)

Akaki Tchkenkeli with his spouse – Makrine Turkia (1950s)

დაცულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში
Preserved in the Ivane Javakhishvili Tbilisi State University library



აკაკი ჩხენკელისა და მაკრინე (მაშო) თურქიას ერთადერთი შვილი - ალექსი ჰყავდათ, რომელიც 1905 წლის 12 ივნისს, ოქუმში (აფხაზეთში) დაიბადა.

1920 წელს აკაკი ჩხენკელი ოჯახთან ერთად საფრანგეთში გაემგზავრა. მისმა ვაჟმა განათლება იანსონ დე საილის საშუალო სკოლაში მიიღო. 1923- 1925 წწ. კი სენ-სირის სამხედრო სკოლაში.

ალექსი დაქორწინდა ქეთევან ვაჩნაძეზე, რომელთაც 1927 წელს შეეძინა ვაჟი გუივი, 1935 წელს ქალიშვილი თამარი.

უცხოური ლეგიონის ბატალიონის მეთაური, ოფიცერი, ვიცე პოლკოვნიკი ალექსი ჩხენკელი არაერთ ბრძოლასა და ექსპედიციაში იღებდა მონაწილეობას. იგი პენსიაში გასვლის შემდეგ ამერიკაში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც აქტიურად დაიწყო ემიგრაციის დახმარება. 1959 წელს მან „ანტიკომუნისტური ინტერნაციონალი“ დააარსა. ალექსი ჩხენკელი 1985 წელს გარდაიცვალა და მისი ფერფლი დაკრძალეს საფრანგეთში, ლევილის ქართულ სასაფლაოზე.



Akaki Tchkhenskeli and Makrine (Masho) Turkia had a single child - Alexi, who was born on June 12, 1905, in Okumi (Abkhazia).

In 1920, Akaki Tchkhenskeli went to France with his family. His son received his education at Janson de Sailly lycée. 1923-1925 at Saint-Cyr Military School.

Alexi married Ketevan Vachnadze, to whom they had a son Givi in 1927 and a daughter Tamari in 1935.

Foreign Legion battalion commander, officer, lieutenant colonel Alexi Tchkhenskeli took part in many battles and expeditions. After his retirement, he moved to America, where he actively started helping the Georgian emigration. In 1959, he founded the "Anti-Communist International". Alexi Chkhenskeli died in 1985 and his ashes were buried in France, in the Georgian cemetery of Léuville.



ალექსი ჩხენკელი შვილთან - თამართან ერთად

Alexi Tchkhenskeli with his daughter - Tamar

ფოტოები ინახება თამარ ჩხენკელის საოჯახო არქივში
Preserved in the family archive of Tamar Tchkhenskeli



**პოლიტიკური კარიერა საქართველოს
პირველ რესპუბლიკაში**

**POLITICAL CAREER BEFORE
THE FIRST REPUBLIC OF GEORGIA**

1912 წლიდან იწყება აკაკი ჩხენკელის აქტიური პოლიტიკური საქმიანობა. 1912 წელს გაიმართა რუსეთის იმპერიის მე-4 სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები, რომელშიც აკაკი ჩხენკელი გახდა დეპუტატი აფხაზეთიდან და ბათუმ-ყარსის ოლქიდან. ჩხენკელი საქართველოს ეროვნულ-კულტურულ ავტონომიას ითხოვდა, ქართველი ხალხის ეროვნული უფლებების შელახვას აპროტესტებდა და მუსლიმი ქართველების უფლებებს იცავდა.

ვასო წუღაძის მოგონებები აკაკი ჩხენკელის დუმის დეპუტატად აჩრევასთან დაკავშირებით.

„... ჩვენი პატივის კანდიდატი იყო აკაკი ჩხენკელი; მის წინააღმდეგ ყუთს იდგამდა ად. შეჩვაშიძე... ამჩრევდითა ხიცხვი 27-მდე იყო, ყახსიდან, ათვინიდან, სოხუმიდან და სხვა... დადგა დღე დეპუტატის აჩრევებისა. ად. შეჩვაშიძე დიდი ხინით მოვიდა ბათუმს, ოცდაათი შეიარაღებული თანმხლებელით.

ქაღაქის თვითმმართველობის დახბაზში იყო დანიშნული აჩრევნები, რომელიც სხუდ თოხმეგ საათზე უნდა დაწყებულიყო. მანამდე დეჩეფანში ვუცდიდით და მოღაპაჰაკებას ვეწეოდით ამჩრევლებთან.

აკაკი ჩხენკელი დიდ ამბავში იყო; ის ყახსიდან ჩამოსუდ ამჩრევლებს — თათიებს — უხსნიდა თავის სააჩრევნო პიროგამას, რომელსაც ჩვენი თაჩიმიანი უთაჩგმნიდა. დახბაზის გახსნის დრო იყო და თავმჯდომარე კი — დამოუწინის ჩინოვნიკი ზიკოვი — ჩატომლაც კიებას აჩ ხსნის. თუხმე ნუ იტყვით! ჩალაცას უცდიან: ნამესტნიკთან დეპუტატი ჰქონიათ გაგზავნილი, რომ ჩხენკელი, დიჭიხომ და ამით უხუნვედყოფნა შეჩვაშიძის აჩრევა.

და აი, კიდევაც, ბათუმის პოლიცემისტიკი ხური, გააფთხებული კიბეზე ამოხბის, ხედში უკავია დეპუტატი და ხმამაღლა ყვირის: „გასპადინ ჩხენკელი, გასპადინ ჩხენკელი!“ დააპატიმრეს და წაიყვანეს. მაგამ მისმა დაჭეხამ მისი სააჩრევნო შანსები ასწია, სომხებმა გამოგვიცხადეს, რომ ახდა ჩვენ ჩხენკელს ვაძღვოთ ხმასო!

სააჩრევნო დახბაზი გახსნეს და აჩრევნებს შეუდგნენ.

აკაკი ჩხენკელმა მიიღო 14 ხმა, ხორო შეჩვაშიძემ — 12. აჩრედ იქმნა ჩხენკელი. ამასობაში პოლიცემისტიკის ჩხენკელი გუბეჩნაგოხთან წაეყვანა; იქ ჩხენკელს ხელი მოაწეხინეს, რომ იმ საღამოსვე დატოვებდა ბათუმს...

გამოვედით თუ ახა თვითმმართველობის შენობიდან, ჩხენკელი საგუბეჩნაგოხოდან დაბრუნებული, ჩვენ ედრით მოგვადგა; მაგამ ის უკვე დეპუტატად იყო აჩრეული და მეოჯე დღეს იმავე გუბეჩნაგოხმა დიდი პატივით მიიღო და კანონის თანახმად საგზაო ხაჩუბი და საჭიხო საბუთები მისცა“ (გ. შაჩაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი I, თბ. 1991, გვ. 69-70).

აკაკი ჩხენკელი რუსეთის დუმის მე-4 სათათბიროს ექვსი მუდმივმოქმედი კომისიის წევრი იყო, რვაჯერ აირჩიეს სხვადასხვა საპარლამენტო კომისიის წევრად, მხოლოდ 1916 წელს 49-ჯერ გამოვიდა სიტყვით (დ. ქუმბურიძე, აკაკი ჩხენკელი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მამულიშვილი, თბ. 2018, გვ. 37).

Akaki Tchkhenskeli began his active political career in 1912 whilst the elections for the 4th State Council of the Russian Empire were being held. Following the election, Akaki Tchkhenskeli became a deputy for the Abkhazia and Batumi-Kars district. Tchkhenskeli demanded the national-cultural autonomy of Georgia, protested the violation of national rights of the Georgian people and defended the rights of Muslim Georgians.

Vaso Tsuladze's memories regarding the election of Akaki Tchkhenskeli as a Duma deputy:

"... the candidate of our party was Akaki Tchkhenskeli; Al. Shervashidze was running against him... the number of voters was up to 27, from Kars, Artvini, Sokhumi and other districts... the day of the deputy elections came. Al. Shervashidze came to Batumi in a big procession, with thirty armed companions.

Elections were scheduled in the city self-government hall, which had to start at exactly twelve o'clock. Beforehand, we tried to negotiate in the corridor with the voters.

Akaki Tchkhenskeli was in a big fuss; He was explaining his election program to the voters from Kars - Tatars - which was translated by our translator. It was time to open the hall, and the chairman - Damozhni (Customs - ed.) official Zykov - for some reason did not open the meeting. Turns out, don't say! They are trying something: they have sent a telegram to the Namestnik (viceroy - ed.) to arrest Tchkhenskeli, thereby ensuring the election of Shervashidze.

And here, again, Batumi police chief Ruchi rushes up the stairs in a rage, holds a telegram in his hand and shouts loudly: "Mr. Tchkhenskeli, Mr. Tchkhenskeli!". He was arrested and taken away. But his capture boosted his electoral chances, the Armenians announced that they were now voting for Tchkhenskeli!

The election hall was opened and elections started.

Akaki Tchkhenskeli received 14 votes, and Shervashidze received 12. Tchkhenskeli was elected but in the meantime, the police chief had to take him to the governor. There, Tchkhenskeli signed a document stating that he would leave Batumi that evening...

The moment we left the self-government building and were returning from the Tchkhenskeli governorate, we were approached with a cart; But he had already been elected as a deputy, and the next day the same governor received him with great honor and provided him with travel expenses and necessary documents according to the law" (G. Sharadze, Under Foreign Skies, Book I, Vol. 1991, pp. 69-70).

Akaki Tchkhenskeli was a member of six permanent commissions of the 4th Council of the Russian Duma, he was elected eight times as a member of various parliamentary commissions and, in 1916 alone, he made 49 speeches (D. Tchumburidze, Akaki Tchkhenskeli statesman, diplomat, patriot, Tb. 2018, p. 37).



**თავრიდის სასახლის სათათბიროს დარბაზი.
ამ დარბაზში იმართებოდა მე-3 და მე-4 სათათბირო დუმების სხდომები.**

**Convention Hall of Tauride Palace.
In this hall sessions of 3rd and 4th state дума were held.**

ფოტო ინტერნეტიდან
Photo from the Internet



**აკაკი ჩხენკელის განდევნა სათათბირო დარბაზიდან. სახალხო
გაზეთი, 1914, N209.**

**Expulsion of Akaki Tchkhenskeli from the council hall. People's Gazette,
1914, N209.**

დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში
Preserved in the National Library of the Parliament of Georgia

დეპუტატ ჩხენკელის განდევნა სათათბიროს დარბაზიდან.
შუაში ჩხენკელი სდგას. მას გარს ჯარის კაცები ახვევია.

1917 წელს აკაკი ჩხენკელმა აფხაზეთსა და სამეგრელოში ფართომასშტაბიანი ტურნე გამართა: „13 ივლისს, დეპ. აკ ჩხენკელი გაემგზავრა სოხუმის ოქრის დასათვადიეხებდათ. სხვათა შოხის მას მიზნათ ჰქონდა სოხუმის ოქრის გვებთა კხებაზე დასწეხება.

